



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №36

2015 წლის 24 აპრილი

ქ. დუშეთი

ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით საოფისე ფართის გადაცემაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და 122 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ქ. დუშეთში, აღმაშენებლის ქ. №31-ში მდებარე საოფისე ფართის ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე.
2. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი